603 ძ 5167.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Министерства здравоохранения ГССР и Грузинского Республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 78 (677) | კვირა, 4 ოქტომბერი, 1953 წ. | ფასი 30 კაპ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

პეკინი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის დღეს გთხოვთ თქვენ, ამხანაგო თავმჯდომარევ, და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურ სახალხო მთავრობას მიიღოთ ჩემი გულითადი მოლოცვა.

განვლილმა ოთხმა წელმა მთელ მსოფლიოს დაანახვა დიდი სიცოცხლისუნარიანობა და სიმტკიცე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა, რომელიც წარმატებით ახორციელებს ისტორიულ გარდაქმნებს ჩინეთში და უზრუნველყოფს ეკონომიკის, კულტურის აღმავლობას და ხალხის მასების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გახდა საერთაშორისო ძალა, რომელიც ნებას არ აძლევს იმპერიალისტებს თავისუფლად დაიმონონ აზიის ხალხები, დაუსჯელად განახორციელონ პოლიტიკა, რომლის მიზანი ის არის, რომ აზია ახალი მსოფლიო ომის კერად გადაიქცეს. კორეის ამბები მოწმობენ, რომ ჩინელი ხალხი გახდა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მძლავრი დასაყრდენი მათს ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოველმხრივი პროგრესი მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი კმაყოფილებისა და სიამაყის გრძნობას იწვევს. მსოფლიოში არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს ჩინელი ხალხის წინსვლა თავისი სამშობლოს ეროვნული აღმავლობისა და აყვავების გზაზე.

საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს დიდ ჩინელ ხალხს ახალ წარმატებებს ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის საქმეში, თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შემდგომი ყოველმხრივი განმტკიცების საქმეში.

დაე იზრდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ურღვევი ძმური მეგობრობა და მჭიდრო თანამშრომლობა ჩვენი ქვეყნების ხალხთა საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განსამტკიცებლად.

გ. მალენკოვი.

1953 წლის 30 სექტემბერი.

603

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ადმინისტრაციული საბჭოს პრემიერს და საგარეო საქმეთა მინისტრს ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

პეკინი

მიიღეთ, ამხანაგო პრემიერო და მინისტრო, ჩემი გულითადი მოლოცვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების მეოთხე წლისთავის გამო. ვისურვებ საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ურღვევი მეგობრობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველსაყოფად.

ვ. მოლოტოვი.

1953 წლის 30 სექტემბერი.

მეტი ყურადღება სოფლის სპორტსმენებს

„საბჭოთა ქვეყანა მტკიცე რწმენით მიდის წინ კომუნიზმის გზით. კომუნისტური მშენებლობის პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სოციალისტური ინდუსტრიის, როგორც სახალხო მეურნეობის წამყვანი ძალის, მძლავრი ზრდის ბაზაზე ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შექმნის ამოცანის პრაქტიკული გადაჭრა. თანამედროვე პირობებში ეს ამოცანა ჩვენს წინაშე დაისახა როგორც სასიცოცხლო, საყოველთაო-სახალხო ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა ხელს შეუწყობს აგრეთვე მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირის შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს ყველა კოლმეურნეს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს ყოველი ღონე იხმარონ და გამოიჩინონ შემოქმედებითი ინიციატივა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანის შესასრულებლად". — ნათქვამია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში.

სახელოვანი კომუნისტური პარტიის ამ მოწოდებას ჩვენი დიადი სამშობლოს სოფლის მეურნეობის მუშაკები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ. ახალი ენერგიით გაიშალა ბრძოლა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განუხრელად შესრულება ხელს შეუწყობს სოფლად მექანიზაციის დანერგვას, კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდას, კიდევ უფრო ააყვავებს, კულტურულს გახდის სოფელს.

ამჟამად, როგორც არასდროს, საჭიროა დაუღალავად ვიზრუნოთ სოფლის მოსახლეობის ფიზიკურად გამოწრთობისათვის. ყველასათვის ცნობილია, რომ საქართველოს სოფლებში კულტივირებულია სპორტის ნაციონალური სახეობები. ამას გარდა კოლმეურნე სპორტსმენები ხალისით მონაწილეობენ მძლეოსნობის, ძალოსნობის, ჭადრაკისა და სპორტის სხვა სახეობათა სექციების მუშაობაში. სპორტულ საზოგადოება „კოლმეურნეს“ რესპუბლიკაში მრავალი მოწინავე ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ჰყავს, სისტემატურად აწყობს შეჯიბრებებს, სადაც კოლმეურნე ახალგაზრდები აბარებენ ნორმებს მშთ ნიშანზე, იღებენ სპორტულ თანრიგებს.

სამწუხაროდ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოფლის მოსახლეობაში ჯერ კიდევ სათანადო სიმაღლეზე არა დგას მასობრივი ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა. სპორტულ სექციებში არ სწარმოებს სისტემატური მეცადინეობა, ბევრგან ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. ზემოაღნიშნულმა ნაკლოვანებებმა განსაკუთრებით იჩინა თავი ამასწინათ ჩატარებულ რესპუბლიკურ პირველობებზე ველოსპორტში, ძალოსნობასა და მძლეოსნობაში. თუ გადავხედავთ მძლეოსანთა შედეგებს დავრწმუნდებით, რომ ამ მიმართებით სოფლად სავალალო მდგომარეობაა. მაგალითად, შუბის ტყორცნაში მონაწილე ქალებიდან მესამე ადგილზე გამოსულმა შუბი 8 მეტრსა და 62 სანტიმეტრზე ტყორცნა (!?) გურჯაანელმა მეღლიშვილმა ბირთვი 4 მეტრსა და 37 სანტიმეტრზე ჰკრა. ასეთი შედეგები, სამწუხაროდ, ბევრი იყო.

აჭარამ და აფხაზეთმა ვერ გამოგზავნეს სრულად დაკომპლექტებული გუნდები ძალოსანთა შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად. აჭარიდან მხოლოდ ოთხი კაცი ჩამოვიდა შეჯიბრებაზე, აქედან ორი, როგორც შემდეგ გამოირკვა, გორის დასათვალიერებლად წამოსულიყო (!).

შეჯიბრების მსვლელობის დროს ადგილი ჰქონდა დისციპლინის უხეშ დარღვევას. მაგალითად, წყალტუბოს რაიონის მძლეოსანთა გუნდმა დემონსტრატიულად დატოვა შეჯიბრება, დაუკომპლექტებელი გუნდები გამოგზავნეს გეგეჭკორის, თელავის, წულუკიძის რაიონებმა. ადვილი შესამჩნევი იყო, რომ გუნდები მხოლოდ შეჯიბრების წინ რამდენიმე დღით ადრე იყო შეკოწიწებული.

აღნიშნული ფაქტები იმას მოწმობს, რომ ადგილებზე რაიონული ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ სათანადო ყურადღებას არ აქცევს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. ისინი საქმეს ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან.

მიმდინარე წლის მაისიდან დღემდე რედაქციაში შემოსულია 112 წერილი, რომლებშიც ახალგაზრდები გულისწყრომას გამოთქვამენ სპორტული ბაზების უქონლობის გამო. რასაკვირველია, თუ არ იქნა სათანადო ბაზა, სპორტული სექციების მეცადინეობასა და რესპუბლიკურ შეჯიბრებებში მონაწილეობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

სოფლად ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაშლა და მისი სათანადო სიმაღლეზე დაყენება მარტო „კოლმეურნის“ საზრუნავი როდია. ეს საერთო საქმეა და მასში განსაკუთრებული აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კომკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების უახლოესი და მთავარი ამოცანაა ძირფესვიანად გარდაქმნან მუშაობა სოფლად და მიაღწიონ ნამდვილ მასობრიობას.

ველოგადარბენა ლენინგრადი—ვიბორგი—ლენინგრადი

მოეწყო ტრადიციული ველოგადარბენა მარშრუტით: ლენინგრადი-ვიბორგი-ლენინგრადი. ეს საინტერესო სპორტული ღონისძიება მიმდინარე წელს გაიმართა მეათეჯერ. მასში მონაწილეობდნენ ლენინგრადის კიევისა და ესტონეთის უძლიერესი ველოსიპედისტები. 292 კილომეტრი მანძილი ყველაზე ადრე დაფარა ვ. ვერშინინმა. გამარჯვებულის დროა 7 საათი, 28 წუთი და 16,8 წამი. ფინიშთან მეორე მივიდა პ. ვოსტრიკოვი, მესამე—პ. პუზინია.

„კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობები

ძალოსნობა

გორში სამ დღეს გრძელდებოდა „კოლმეურნის“ პირველობის გათამაშება ძალოსნობაში. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გუნდური პირველობა მოიპოვეს ზესტაფონის წარმომადგენლებმა (25 ქულა). მომდევნო ადგილები დაიკავეს ახმეტის, სიღნაღის, ადიგენის, საგარეჯოს, გურჯაანის, მახარაძისა და ჩოხატაურის გუნდებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს რ. საამოვმა (ახმეტა) — 205 კგ; ჯ. მალაზონიამ (მახარაძე) — 250 კგ; კ. ჩალათაშვილმა (გურჯაანი) — 255 კგ; ზ. ლეშკაშვილმა (თიანეთი) — 272,5 კგ; შ. გელაშვილმა (ხაშური) — 280 კგ; ნ. დეკანოსიძემ (ზესტაფონი) — 260 კგ; ა. სამყურაშვილმა (ლაგოდეხი) — 282,5.

ასპარეზობამ გამოავლინა ნიჭიერი ახალგაზრდები ნ. მამულაშვილი (ადიგენი), ა. ქურხული (საგარეჯო), ფ. ნადირაშვილი (სიღნაღი), მ. ქათამაძე (მახარაძე), ჩიკვილაძე (ახმეტა) და სხვ.

საყვედურის ღირსია სამხრეთ ოსეთის „კოლმეურნის“ საოლქო საბჭო, რომელმაც ვერ გამოგზავნა გუნდი. აჭარამ პირველობაზე გამოგზავნა მხოლოდ 4 კაცი, რომელთაგან ორმა თვითნებურად დატოვა ასპარეზობა.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩაატარა გორის მსაჯთა კოლეგიამ.

კ. ზაუტაშვილი
საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

ველოსიპედი

ამასწინათ საქართველოს სამხედრო გზაზე მოეწყო „კოლმეურნის“ პირველობა ველოსპორტში.

ქალთა შორის 25-კილომეტრიანი დისტანცია გზატკეცილზე ყველაზე ადრე დაფარა ლ. ამკვამბამ (აფხაზეთი) — 58:58,2. მეორე-მესამე ადგილებიც აფხაზეთის წარმომადგენლებმა შელხოვსკაიას და რაიბიჩს ხვდათ წილად.

ვაჟები ასპარეზობდნენ 50 კილომეტრზე. 3-4 კილომეტრის შემდეგ რბოლის სათავეში ჩაუდგნენ მცხეთელი სპორტსმენები. ფინიშის ხაზთან პირველნი ისინი იყვნენ. გაიმარჯვა თ. შალიბაშვილმა—1.34:45,5. მას 0,5 წამით ჩამორჩა ოქროპირიძე.

საგურამოს რაიონში გაიმართა ასპარეზობა კროსში. სპორტსმენ ქალებს ორჯერ უნდა შემოევლოთ 5 კილომეტრიანი წრისათვის. პირველ სამ ადგილზე გამოვიდნენ აფხაზეთის წარმომადგენლები: პუუსტა (32:49,0), რიაბიჩი (33:17,5) და შელხოვსკაია (35 წუთი).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება 30 კილომეტრზე (6 წრე). პირველი იყო შალიბაშვილი — 1.11:21,0. მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ოქროპირიძე და სვინტრაძე (სამივე მცხეთიდან).

გუნდური პირველი ადგილი (გზატკეცილი, კროსი) მოიპოვეს მცხეთის რაიონის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილზეა აფხაზეთის, მესამეზე — სამტრედიის გუნდები.

ა. გუნია,
სპორტის ოსტატი.

მძლეოსნობა

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ოთხ დღეს გრძელდებოდა საქართველოს „კოლმეურნის“ პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების, მახარაძის, ცხაკაიას, ბორჯომის, თელავისა და სხვა რაიონების 210 სპორტსმენი.

100 მეტრზე რბენაში ვაჟებიდან პირველი ადგილი მოიპოვა მახარაძელმა ა. ბოლქვაძემ, მანვე გაიმარჯვა სიგრძეზე ხტომაში. ქალებიდან ამავე მანძილზე რბენაში ყველას აჯობა ნ. ტყებუჩავამ (ცხაკაია).

800 და 1.500 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ლ. ხავთასმა (მახარაძე). ქალებიდან 800 მეტრზე პირველი ადგილი მოიპოვა აჭარელმა თ. დიასამიძემ. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის 400 მეტრზე რბენაში კვლავ მახარაძელი სპორტსმენები პირველობდნენ. შუბის ტყორცნაში ვაჟებიდან კარგი შედეგი უჩვენა თბილისის გარეუბნის რაიონის წარმომადგენელმა ა. ლონდარიძემ.

საინტერესოდ ჩატარდა რბენა 10.000 მეტრზე. I-II ადგილები დაიკავეს გ. სპირიდონოვმა და პ. ლაზინმა (ორივე ბორჯომიდან). ვაჟთა ხუთჭიდში გაიმარჯვა აფხაზეთის წარმომადგენელმა ვ. კაზანჯიანმა ქალთა ხუთჭიდში — ტყებუჩავამ (ცხაკაია). ამანათრბენში 4×100 ვაჟთა შორის მახარაძელმა სპორტსმენებმა დაიკავეს პირველი ადგილი. ქალთა გუნდებიდან — უძლიერესი იყო ცხაკაიას რაიონის გუნდი.

სიმაღლეზე ხტომაში თელაველმა გ. სიდამონიშვილმა და გარეუბნის წარმომადგენელმა კ. დავითელაშვილმა დასძლიეს 1,65 სმ სიმაღლე და I-II ადგილები მოიპოვეს. მესამე ადგილი დაიკავა ბორჯომელმა ნ. პავლოვმა (1.60). 1,25 სმ დაძლევით ნ. ნადირაძემ (გურჯაანი) გაიმარჯვა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში. ბირთვის მკვრელი ქალებიდან პირველობდა ლ. ხოშტარია. თარჯრბენში 110 მეტრზე გაიმარჯვა ა. ახალკაცმა (გარეუბნის რაიონი).

ოთხი დღის ასპარეზობის შემდეგ I ადგილი მოიპოვეს მახარაძელმა სპორტსმენებმა, მეორე — ცხაკაიელებმა, მესამე — აფხაზეთის გუნდმა.

ი. ივლოშვილი

კ. ყოჩიაშვილმა მოიგო მშვიდობის ჯილდო

ვარშავის იპოდრომზე რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უძლიერეს მხედართა ასპარეზობა.

ამ გრანდიოზულ შეჯიბრებაში გათამაშდა 11 სახელობითი საერთაშორისო ჯილდო, მათ შორის ყველაზე საპატიო იყო მშვიდობის თასი. სხვადასხვა მანძილზე ცხენთა რბოლაში საბჭოთა მხედრებმა მოიპოვეს ქალაქების — ტირანის, ბუქარესტისა და სოფიის სახელობის ჯილდოები.

გათამაშებაში ყველაზე დაძაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობდა მშვიდობის თასის გათამაშება. აქ საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობას იღებდა ცნობილი ცხენოსანი კონსტანტინე ყოჩიაშვილი, რომელიც მისივე გაწვრთნილ „არაგვზე“ იჯდა. მრავალრიცხოვანი მაყურებლის ტაშის ქუხილში ყოჩიაშვილმა თავისი ცხენი პირველმა მიაგდო ფინიშთან და მოიპოვა მშვიდობის საპატიო ჯილდო. გარდამავალ თასზე შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვა ცხენმა „ხარკოვმა“ (მხედარი ნ. ნასიბოვი).

საბჭოთა ცხენოსნებმა შეჯიბრებაზე გათამაშებული თერთმეტი ჯილდოდან მოიპოვეს 5, ჩეხოსლოვაკელმა მხედრებმა 4, თითო ჯილდო დაიმსახურეს პოლონეთისა და რუმინეთის მხედრებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა საამქროს ადამიანები

მანქანები განუწყვეტლივ ხმაურობენ... კონვეიერის გრძელი ლენტი საამქროს ვრცელ დარბაზში მოძრაობს. ოსტატები თვალის დახამხამებაში ასრულებენ სხვადასხვა ოპერაციას. მოდის და მოდის ლამაზი, მკვიდრად ნაკერი ფეხსაცმლის ნაკადი. კონვეიერის ბოლოს მუშები მზა პროდუქციას სწრაფად ახვევენ თხელ, გამჭვირვალე ქაღალდში და სათუთად აწყობენ მუყაოს ყუთში, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „მოლოტოვის სახელობის თბილისის ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკა“.

... ვიწრო კიბით მესამე სართულზე ავდივართ. სიწყნარეა. დაზგებთან გამალებით მუშაობენ. მოზრდილ ყუთებში სპორტული ფეხსაცმელი აწყვია.

მრავალ სპორტსმენს გამოუთქვამს კმაყოფილება საამქროს მიერ გამოშვებულ მსუბუქ, ფეხზე კარგად მოსარგებ ფეხსაცმელზე. მაგრამ მიღწეული არავის აკმაყოფილებს — არაკვალიფიციური მუშებიც კი ცდილობენ სიახლე შეიტანონ საწარმოო პროცესში, გააუმჯობესონ პროდუქციის ხარისხი, შეამცირონ თვითღირებულება, ხელი შეუწყონ ჩვენი საყვარელი სამშობლოს ეკონომიური სიძლიერის შემდგომ განმტკიცებას.

ამასწინათ სტახანოველმა მუშამ ლ. ბედიაშვილმა წინადადება შეიტანა კალაპოტების შეცვლის შესახებ. მისი მოდელის კალაპოტზე გადაჭიმულმა სპორტულმა ფეხსაცმელმა ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა. ფაბრიკის ადმინისტრაციამ 600 წყვილი ასეთი კალაპოტი დაუკვეთა, მათგან ნახევარი უკვე ჩაშვებულია წარმოებაში.

ფეხსაცმლის ლანჩის მიმკერებელ თენგიზ ოქროაშვილს დიდხანს აინტერესებდა ზოგიერთი საწარმოო პროცესის გაუმჯობესების საკითხი. მისი წინადადებით მოხდა დამხმარე ოპერაციების განცალკევება. კვალიფიციური მუშები აქამდე ერთდროულად ასრულებდნენ ისეთ უმნიშვნელო ოპერაციებს, როგორიცაა ძაფის გასანთვლა, შეღებვა და სხვა. თ. ოქროაშვილის წინადადების შემდეგ ამ საქმის შესრულება დაევალა არაკვალიფიციურ მუშებს. ამან 3-5 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება. წინანდელთან შედარებით საამქრო ყოველდღიურად 30 წყვილ ზეგეგმით ფეხსაცმელს იძლევა.

მონდომებაც დიდი იყო და სურვილიც, შრომობდნენ გაუცდენლად, მაგრამ საამქრომ ვერცერთხელ ვერ მოახერხა, რომ გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეესრულებინა. ერთი ან ორი პროცენტის გადაჭარბება არავის აკმაყოფილებდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შემდეგ საამქროს მთელი კოლექტივი ღრმად ჩაუკვირდა ამ საკითხს...

და აი, ინჟინერმა ნ. ბაბასიანმა შეადგინა კონვეიერის პროექტი სპორტული ფეხსაცმლის საამქროსათვის. მისივე ხელმძღვანელობით დადგეს მანქანები. პირველმა გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. კონვეიერი შეუფერხებლად მუშაობს.

წინასწარი ვარაუდით კონვეიერი საშუალებას იძლევა, რათა საერთო პროდუქციის გამოშვება 10-15 პროცენტით გადიდდეს, 3-4 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდეს ხარისხის გეგმა, ამასთან 25 პროცენტამდე შემცირდეს კალაპოტების რაოდენობა, რაც ყოველწლიურად წარმოებას 50.000 მანეთს დაუზოგავს.

პატარა საამქროს ჰყავს მრავალი მოწინავე ადამიანი, რომლებიც დაუღალავად შრომობენ ჩვენს ქვეყანაში სახალხო მოხმარების საგნების წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის. საძირის შემკერავი ლ. ბედიაშვილი გეგმებს 250 პროცენტით ასრულებს. იგი მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორიცაა. საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. სარქისიანი მუშაობასთან ერთად წარმატებით ეუფლება სპორტის სხვადასხვა სახეობას, ის კარგი ფეხბურთელი და კალათბურთელია. საამქროშიც მოწინავეთა რიგებში დგას. მას არ ჩამორჩებიან ძალოსანი სპორტსმენი გ. კარაპეტიანი, მოწინავე მუშა გ. მალაქიანი, თ. ოქროაშვილი, საპირის გამლამაზებელი სარა ლერნერი და სხვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვამ ნათელი პერსპექტივა გადაუშალა მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშებს. მოლოტოვის სახელობის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკის მთელი კოლექტივი მონდომებით იბრძვის, რათა მოსახლეობას ლამაზი და მკვიდრი ფეხსაცმელი მიაწოდოს. ამ დიდ საქმეში თავისი წვლილი შეაქვს სპორტული ფეხსაცმლის საამქროსაც.

გ. ოქრუაშვილი

* * *

სურათზე: სპორტული ფეხსაცმლის კონვეიერი. კონვეიერს მომსახურებას უწევს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი სტახანოველი გ. სარქისიანი.

რესპუბლიკის მძლეოსანთა წარმატება

უკანასკნელი ხნის განმავლობაში საქართველოს სსრ მძლეოსანთა მიერ ნაჩვენები იქნა შედეგები, რომლებიც აღემატებიან რესპუბლიკურ რეკორდებს.

1.500 მეტრზე რბენაში ბათუმელმა ი. ვოლობუევმა („დინამო“) აჩვენა შედეგი — 4:01,0, ძველი რეკორდი ეკუთვნოდა სპორტის ოსტატს ვ. ვაშაკიძეს და უდრიდა 4:04,0. 400 მეტრზე თარჯრბენში დინამოელ ა. დემენტიევის (თბილისი) შედეგი 56,3 რესპუბლიკური რეკორდია. ძველი რეკორდი ვ. ვაშაკიძისა გაუმჯობესებულია 1,3 წამით.

წარმატებას მიაღწია ბათუმელმა მ. ტულუშმა, რომელმაც 110 მეტრზე და 200 მეტრზე თარჯრბენში ორი ახალი რეკორდი დაამყარა (15,2 და 26,5).

საქართველოს სსრ ნაკრებმა გუნდმა ამანათრბენში 4×100 ლ. სანაძის, რ. ტრაპაიძის, ს. კუჩერენკოსა და ა. საპოჟნიკოვის შემადგენლობით აჩვენა დრო 42,9, რაც ძველ რეკორდს 0,2 წამით აღემატება. ამანათრბენში 4×400 — ლ. სანაძემ, რ. ტრაპაიძემ, გ. კიკაბიძემ და ვ. აზატოვმა დაამყარეს ახალი რეკორდი — 3:20,8.

უროს მტყორცნელმა ნ. დევდარიანმა („მედიკი“) პირველმა ჩვენს რესპუბლიკაში გადალახა 50 მეტრიანი ზღვარი და შედეგით 50 მ 85 სმ ახალი რეკორდი დაამყარა.

ი. შუქუროვმა („ტრუდი“) ათჭიდში გააუმჯობესა გ. ლეჟავას რესპუბლიკური რეკორდი (5727 ქულა).

ქალთა შორის აღსანიშნავია სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დვალიშვილის შესანიშნავი შედეგი გამორბენით სიგრძეზე ხტომაში — 6 მ 14 სმ, რომელიც მან მიმდინარე წლის 23 სექტემბერს უნგრელ მძლეოსნებთან ამხანაგური შეხვედრის დროს დაამყარა. ეს შედეგი არის საკავშირო რეკორდის გამეორება, რომელიც სპორტის დამსახურებულ ოსტატს ა. ჩუდინას ეკუთვნის.

ამანათრბენში 4×100 საქართველოს სსრ ნაკრებმა გუნდმა სპორტის დამსახურებული ოსტატების ნ. დვალიშვილის, ე. გოკიელის, მ. ქოჩლაძისა და ა. ოვივიანის შემადგენლობით ახალი რეკორდი დაამყარა — 50,3.

ჩვენ გვწერენ

მოედნები მოუწყობელია

ალავერდელ (ზესტაფონის რაიონი) ახალგაზრდებს უყვართ სპორტი, განსაკუთრებით ფეხბურთი. კოლმეურნეობის გამგეობამ მათი სურვილი დააკმაყოფილა და მოედნისათვის მიწის ფართობი გამოჰყო. ახალგაზრდებმა მოედანი მოაწყეს, მაგრამ ნორმალურ ვარჯიშს ხელს უშლის მოედნის ფართობზე არსებული ტელეფონის ორი ბოძი და ხშირად ზედ მოთარეშე საქონელი. ბოძების გადატანა მოედნის გარეთ და მისი შემოღობვა ადვილი საქმეა, მაგრამ ამისათვის თავს არავინ იწუხებს.

უფრო ცუდადაა სოფელ კლდეეთის კოლმეურნეობის სპორტული მოედნის კეთილმოწყობის საქმე. ფეხბურთის კარის ძელებს ხშირად ქვები ან მოთამაშეთა ტანსაცმელი წარმოადგენს.

ი. მუკათარიძე

მუშაობა ჩაშლილია

მოედნებისა და სპორტდარბაზის უქონლობის გამო სკოლაში ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია. შექმნილი არ არის ჭადრაკის, შაშის, ფრენბურთის, კალათბურთისა და სხვა სექციები. გულრიფშის რაიონის სოფელ წებელდის ქართული საშუალო სკოლის დირექტორი დ. ბარათელი და ფიზაღზრდის მასწავლებელი ე. შენგელია ამ მდგომარეობას გულგრილად შეჰყურებენ. ანალოგიური მდგომარეობაა ქვემოწყაროს სომხურ სკოლაშიც (დირექტორი ა. კალაჯიანი).

ხ. სამუშია

წერილების კვალდაკვალ

გაზეთ „ლელოს“ 22 ივლისის ნომერში დაბეჭდილი მამხილებელი წერილი „ისევ ძველებურად“ ეხებოდა სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ნაკლოვანებებს.

როგორც საქართველოს კომპარტიის სოხუმის რაიკომის მდივანი ამხ. ჯ. კვიკვინია გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. მიღებულია ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

რესპუბლიკის ჩემპიონის სახელისათვის

11, 12 და 13 ოქტომბერს თბილისში, ლენინის სახელობის დარბაზში ჩატარდება შეჯიბრება ტანვარჯიშში საქართველოს 1953 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე. მონაწილეობენ: თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის და აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, გორის, ფოთის, ლანჩხუთის, ახალციხისა და სხვა გუნდები.

პირად პირველობაში ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის დამსახურებული ოსტატი ნ. თაყაიშვილი, სპორტის ოსტატები: რ. შარაბიძე, ვ. ჯაიანი, ვ. კულუმბეგაშვილი, ა. ალფაიძე, შ. ჩაჩხიანი, ჯ. გურსკი, ვ. ასათიანი, ო. ქორქია, გ. ყორღელაშვილი, ე. სტეფანოვა, შ. ქოიავა, ც. მაჭარაშვილი, მ. ჩიჟიკოვა, ე. გაგოშიძე, ე. ქოვლიევა, პირველთანრიგოსნები: ი. მებუკე, ლ. გელუკაშვილი, ა. ჩარგეიშვილი და სხვები.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია ქ. ზაალიშვილი.

◇◇◇

ჩინელი ხალხის დიდი დღესასწაული

1 ოქტომბერს ოთხი წელი შესრულდა, რაც ჩინეთი გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს დიდი ჩინელი ხალხი ხვდება თავისი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის დიდი აღმავლობის ვითარებაში. გმირმა ჩინელმა ხალხმა მიაღწია იმას, რომ ჩინეთში მოისპო საუკუნეობრივი ფეოდალური ექსპლოატაცია, სიღატაკე, უთანასწორობა. მიწა გადავიდა იმათ ხელში, ვინც მას ამუშავებს. სწრაფად იზრდება მუშებისა და გლეხების კეთილდღეობა და კულტურული დონე. მიმდინარე წელს ჩინეთში მიღებულ იქნა პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომლის შესრულება უფრო ძლიერსა და მდიდარს გახდის მშრომელებს.

ჩინეთის ახალგაზრდობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფიზკულტურა და სპორტი, რომელიც მხოლოდ ახლა გახდა მასებისათვის ხელმისაწვდომი. ჩინელი ფიზკულტურელები სისტემატურად ამაღლებენ სპორტულ მაჩვენებლებს. აქ პირველად ჩატარდა სრულიად ჩინეთის პირველობის გათამაშება მძლეოსნობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთსა და ცურვაში. 1953 წლის პირველობაზე ფეხბურთში, რომელიც შანხაიში გაიმართა, გაიმარჯვა სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის გუნდმა. არმიელებმა ყველა შეხვედრა მოიგეს. პარალელურად მიმდინარეობდა ახალგაზრდული გუნდების ჩემპიონატი. აქ პირველი ადგილი დაიკავეს შანხაის ფეხბურთელებმა.

მიმდინარე წლის მაისში ტიანძინში მოეწყო ფრენბურთელთა და კალათბურთელთა პირველობები, რომელშიც მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის მსხვილი ადმინისტრაციული რაიონების ქალთა და ვაჟთა კოლექტივებმა. სწრაფად იზრდება ჩინელ მძლეოსანთა ოსტატობა. პეკინში, სრულიად ჩინეთის მძლეოსანთა შეჯიბრებაში დამყარებულ იქნა რესპუბლიკის რეკორდები ვაჟთათვის 800 და 5.000 მეტრზე რბენაში და ქალთათვის ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში.

ძველ ჩინეთში სრულიად მივიწყებული იყო სპორტის ზამთრის სახეობები. ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ, განსაკუთრებით ჩრდილო-აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ჩინეთში, სადაც ამისათვის შესაფერი კლიმატური პირობებია, დიდად პოპულარული გახდა საციგურო, სათხილამურო სპორტი და ჰოკეი. ამ სახეობებში ჩაება ასობით ჩინელი ახალგაზრდა. მიმდინარე წლის ზამთარში ხარბინში, პირველად ჩინეთში, მოეწყო შეჯიბრება ციგურებით ფიგურულ სრიალსა და ჰოკეიში. მოციგურეთა რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილეობა მიიღო 200-მდე სპორტსმენმა. ხარბინის მუშებმა შეჯიბრების წინ მოაწყეს სპეციალური საციგურო მოედანი 4 ათასი მაყურებლისათვის. შეჯიბრების მსვლელობაში დამყარებულ იქნა ახალი რეკორდები. ახალგაზრდა გლეხმა ლიუ იან-ლუნმა არა მარტო მოიპოვა პირველობა ოთხ დისტანციაზე, არამედ დაამყარა ჩინეთის ახალი რეკორდი 5 ათას მეტრზე. ლი ცზაი-სიუნი გახდა რეკორდსმენი 500 მეტრზე. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ჩინეთის წარმომადგენელმა ქალმა გუან ვეი-ლინმა დაამყარა ახალი რეკორდი 500 მეტრზე, ხოლო ცზინ ფუ-შუნმა — 3.000 მეტრზე. დაძაბული ბრძოლის შემდეგ ჰოკეიში გაიმარჯვა ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის გუნდმა.

ახალ ჩინეთში სწრაფად მაღლდება მუშათა კლასის კულტურული დონე. ამის დადასტურებაა ის, რომ ფიზკულტურა და სპორტი გახდა მუშათა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. რესპუბლიკის ბევრ ქარხანაში მოწყობილია კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნები, მუშაობენ სპორტული წრეები და სექციები.

მუკდენის მანქანათმშენებელი ქარხნის მა სენ-ჩანის სახელობის საამქროში 200 კაცი მუშაობს. ყველა ისინი ჩაბმულია ფიზკულტურულ საქმიანობაში. ყოველ დღე, სამუშაოს დაწყების წინ, მუშები იკრიბებიან ქარხნის ეზოში და ატარებენ გამამხნევებელ ვარჯიშს, ხოლო შესვენებისას თამაშობენ ფრენბურთს. ამავე ქარხნის ღამის ცვლის მუშები დასვენების შემდეგ თამაშობენ ფეხბურთს, ჩოგბურთს, იწვრთნებიან ტანვარჯიშში.

აგრარული რეფორმის შემდეგ გლეხობაში ფართოდ დაინერგა ფიზკულტურა და სპორტი. ხშირად ეწყობა გლეხთა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. 900 გლეხი სპორტსმენი მონაწილეობდა კალათბურთის გათამაშებაში შოუიანის მაზრის პირველობაზე. მარტო ერთ ციუიუს მაზრაში გლეხებმა მოაწყეს 105 კალათბურთის, 10 ფრენბურთის, 12 ფეხბურთის მოედანი. ჩინეთის სპორტულ ცხოვრებაში საპატიო ადგილი უჭირავს აგრეთვე სპორტულ საქმიანობაში ქალების ჩაბმას. ქალაქ ხანჩჟოუში სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებაში 1.600 მონაწილიდან ნახევარი ქალები იყვნენ.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში არის აგრეთვე ფიზკულტურის მასწავლებელთა მოსამზადებელი სპეციალური სასწავლებლები. ფიზკულტურის ინსტიტუტები გახსნილ შანხაისა და ჩენდუში. 11 უმაღლე სასწავლებელში არის ფიზკულტურის ფაკულტეტი. ამჟამად ამ სასწავლებლებში 1000-მდე სტუდენტ სწავლობს.

ჩინელ სპორტსმენებს დიდი მ გობრობა აქვთ საბჭოთა სპორტ წარმომადგენლებთან და სახალხ დემოკრატიის სპორტსმენებთან. ის ნი იყენებენ მათ გამოცდილებას გადააქვთ თავიანთ საქმიანობაში ჩინელი სპორტსმენები ხშირად მონ წილეობენ საერთაშორისო ასპარეზობებში. მათმა დელეგაციამ მო ნაწილეობა მიიღო XV ოლიმპიუ თამაშებში, მაგიდის ჩოგბურთ მსოფლიოს XX პირველობაზე. ჩინეთის ხალხმა სპორტსმენთა დიდი დელეგაცია გაგზავნა ახალგაზრდების და სტუდენტთა მე-4 მსოფლი ფესტივალზე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკ ეკონომიკისა და კულტურის ყოველ დღიური წინსვლა კმაყოფილების და სიამაყის გრძნობას იწვევს მსოფ ლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებშ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დე მოკრატიის ქვეყნების მხარდამხარ კომუნისტური პარტიის ხელმძღვა ნელობით ჩინეთის სახალხო რეს პუბლიკა შეუნელებლად მიდის წ ახალი წარმატებებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რ. ცუცქირიძის სურათი „დასვენება“. ფოტო მ. ზარგარიანისა.

სპორტული თემები ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში

სპორტი — ერთერთი საყვარელი თემაა თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა შემოქმედებაში. ტანის სილამაზე, დინამიკა, პლასტიკურობა, კომპოზიციის მრავალფეროვნება, სიხალისე, გამარჯვების რწმენა — აი, რა აღელვებს ყოველ ახალგაზრდა ხელოვანს, როცა იგი თავისი შთანაფიქრის ხორცშესხმას დააპირებს.

აკადემიის არსებობის წლებში ახალგაზრდა მხატვრებმა მრავალი საინტერესო ტილო და სკულპტურული კომპოზიცია შექმნეს. თითქმის ყოველ გამოშვებაზე შეხვდებოდით სადიპლომო ნამუშევრებს სპორტულ თემაზე. მრავალმა მათგანმა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სამწუხაროდ, წელს სპორტულ თემაზე მხოლოდ სამი ნამუშევარია წარმოდგენილი, ორი ფერწერაში, ერთი — ქანდაკებაში. ესენია რ. ცუცქირიძის „დასვენება“, ნ. თანდაშვილის „ტურისტები“, ნ. თაბუკაშვილის „მოთხილამურე“. პირველ რიგში ყურადღების ღირსია რ. ცუცქირიძის ფერწერული ტილო „დასვენება“, რომელიც ორიგინალურად მოფიქრებული და პროფესიული ოსტატობით შესრულებული სურათია. იგი თავის მოცულობითაც სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, რადგან უფრო დიდი ზომის ტილო უდავოდ არ მოუხდებოდა ასეთ ჟანრულ კომპოზიციას. სურათზე გამოხატულია ქართლის დამახასიათებელი პეიზაჟი. წინა პლანზე თივის ზვინის ჩრდილში მოკალათებულან მზით გარუჯული პატარა მწყემსი ბიჭები. მათ წინ საჭადრაკო დაფაა გაშლილი. მეორე პლანზე სიცხით გათანგული სველტუჩა კამეჩი ამოდის აღმართზე. ქვევით, შორს მდინარე მოჩანს. მდინარის ნაპირებთან ნახირი ძოვს. ზურმუხტისფერ ცაზე თეთრი ღრუბლები ნაფლეთებადაა გაფანტული...

საჭადრაკო დაფაზე ცხარე ბრძოლაა გამართული. ერთერთმა მოთამაშემ ფიგურა მოიგო. ამ მომენტმა სათანადო რეაქცია გამოიწვია სურათის პერსონაჟებს შორის. ყველა მათგანი თავისი შინაგანი განცდით არის გატაცებული, რაც მშვენივრად იკითხება თვითეული მათგანის მიმიკასა თუ მოძრაობაში. მხატვარმა თვითეულ პერსონაჟს თავისი ინდივიდუალური სახე შეუნარჩუნა. დამაჯერებლად არის შერჩეული ტიპაჟი.

სხვადასხვა პლასტიკური ხერხითა და ხაზის ელასტიკური მოძრაობით, კომპოზიციას მოძებნილი აქვს ცენტრი, საითკენაც მიმართულია მაყურებლის ყურადღება — ეს არის საჭადრაკო დაფა.

მისასალმებელია ისიც, რომ მხატვარმა გამოამჟღავნა ხატვისა და ანატომიის კარგი ცოდნა. რ. ცუცქირიძის სურათის მთავარი ნაკლი ის არის, რომ იგი ნაჩქარევადაა შესრულებული და დაუმთავრებლის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ნ. თანდაშვილის სადიპლომო სურათში „ტურისტები“ მოცემულია ის მომენტი, როცა ტურისტული ლაშქრობის მონაწილენი ეცნობიან საქართველოს ერთერთ ულამაზეს კუთხეს, რომლის ფონზე მოჩანს ისტორიული ძეგლი. ლაშქრობის მონაწილენი წუთით შეჩერებულან და ტკბებიან ბუნების სილამაზით. მათ შორის არის მხატვარი, რომელსაც ყუთი გაუშლია და ისტორიულ ძეგლს იხატავს. სამწუხაროდ, ნ. თანდაშვილის სურათს სიცოცხლე და სიხალისე აკლია, როგორც პერსონაჟების ურთიერთდამოკიდებულებაში, ასევე კოლორიტში. ისტორიული ძეგლი, რომლის დასათვალიერებლადაც მოსულან ტურისტები, სურათში საძებნი ხდება. ეს სურათი უფრო პეიზაჟისაკენ არის გადახრილი და არ ამართლებს სათაურს, რადგან ტურისტები აქ პეიზაჟის დამხმარე ელემენტს წარმოადგენენ.

მესამე ნამუშევარი — ნ. თაბუკაშვილის „მოთხილამურე“, სკულპტურულად კარგად მოფიქრებული, დასრულებული კომპოზიციაა. ცალ მუხლზე ჩაჩოქილი, თავშიშველი ახალგაზრდა წუთით შეჩერებულა, რათა ფეხსაცმელზე თასმები შეიკრას. მას თავი მაღლა აქვს აწეული და წინ იყურება. როგორც ჩანს მოქანდაკე იცნობს სპორტის ამ სახეობას, სათხილამურო კოსტიუმს, მაგრამ გაუგებარია, რატომ იკრავს მოთხილამურე ფეხსაცმლის თასმებს. უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, რომ იგი იმაგრებდეს თხილამურებს. ჩემი აზრით, მოთხილამურეს ძალიან თბილად აცვია, რაც დამახასიათებელი არაა სამხრეთის ჰავისათვის. უკეთესი იქნებოდა სპორტსმენს ეცვას მსუბუქად, ეს ელემენტი მხატვრულადაც უფრო საინტერესო იქნებოდა, რადგანაც სხვადასხვა ქსოვილის ფაქტურის გადმოცემა უფრო გაამდიდრებდა კომპოზიციას. მოქანდაკეს ეტყობა, რომ იგი ერთნაირი სიყვარულით აკეთებს ყოველ დეტალს, რაც კარგიცაა და დასაგმობიც. სწორედ ამ მიზეზით სახეს აკლია სიცოცხლე და მეტყველება. ამასთან სახის ფაქტურა წააგავს ტანსაცმლისას. ხელები ოდნავ გრძელია, შიგნით ცუდად იგრძნობა სხეული, არ არის აქცენტირებული ის ადგილი, სადაც მკლავი იხრება.

ამ ნაკლის მიუხედავად, კომპოზიცია მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მისასალმებელია, რომ მოქანდაკე გოგონამ საინტერესოდ გადაწყვიტა ასეთი რთული და დიდი ზომის კომპოზიცია.

როგორც აღვნიშნეთ, წელს მხოლოდ სამმა მხატვარმა წარმოადგინა სადიპლომო ნამუშევარი სპორტულ თემაზე, რაც, რასაკვირველია ცოტაა. განსაკუთრებით დიდი მუშაობა პლაკატისტებს მართებთ. მათ უნდა შექმნან კარგი სურათები სპორტულ თემებზე. გასულ წელს ამ თემაზე დიპლომი დაიცვა ო. სეხნიაშვილმა, მაგრამ სამწუხაროდ, მან შემდგომში არ განაგრძო შემოქმედებითი მუშაობა ამ მიმართებით.

გ. ფირცხალავა

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება გათამაშება საბჭოთა კავშირის 1953 წლის თასზე.

თბილისის დინამოელებმა პირველი შეხვედრა ჩაატარეს მოსკოვში კიეველ თანაკლუბელებთან. კიეველებმა თავიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს თბილისელებს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მათ კართან, მაგრამ პირველი ბურთი მაინც მათ კარში იქნა გატანილი. ა. გოგობერიძემ მოატყუა რა მოწინააღმდეგის სამი მცველი და მეკარე ლემეშკო, ანგარიში გახსნა.

შეხვედრის 57-ე წუთამდე უტევდნენ კიეველები, მაგრამ თამაშს კვლავ ცენტრიდან იწყებენ. მათ კარში მეორე ბურთი ზ. კალოევმა გაიტანა. 70-ე წუთზე თბილისელთა კარი აშკარა გოლისაგან იხსნა გ. ანთაძემ, ხოლო სამი წუთის შემდეგ მოწინააღმდეგის კარში მანვე გაიტანა მესამე ბურთი. თამაშის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე ა. ჭკუასელმა ანგარიში გაზარდა (4:0). დარჩენილ დროს შედეგი არ მოუცია.

სტალინოს „შახტიორისა“ და ალმაატის „დინამოს“ პირველ შეხვედრაში მოედანი ორივე გუნდმა მშრალი ანგარიშით დატოვა. განმეორებით მატჩში გაიმარჯვეს სტალინოს ფეხბურთელებმა — 2:0.

რიგის „დაუგავამ“ დაამარცხა ვილნიუსის „სპარტაკი“ — 1:0.

საინტერესოდ ჩატარდა ზაპოროჟიეს „მეტალურგისა“ და დედაქალაქის „სპარტაკის“ მერვედფინალური შეხვედრა. პირველნახევარში მოსკოველმა დემენტიევმა სამი ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. შეხვედრის ანგარიშია 5:0 სპარტაკელთა სასარგებლოდ.

თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრა, რომელიც 1 ოქტომბერს ჩატარდა, მძაფრ ხასიათს ატარებდა. ხშირად იქმნებოდა კრიტიკული მომენტები ორივე გუნდის კართან. როგორც პირველ, ისე მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა ბურთის გატანის რამდენიმე რეალური შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს, რადგან ნაწვიმარი მოედანი და სველი ბურთი მოთამაშეებს ზუსტი დარტყმის საშუალებას არ აძლევდა. გონგის შემდეგ რიეკინის მიერ მიწოდებული ბურთი ბესკოვმა თბილისელთა კარის ბადეში გაგზავნა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 1:0.

2 ოქტომბერს „სტალინეცის“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ სტალინოს „შახტიორისა“ და რიგის „დაუგავას“ გუნდები. გაიმარჯვეს „შახტიორის“ ფეხბურთელებმა (2:1).

გუშინ მოსკოვში მეორე მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „ლოკომოტივი“. 90 წუთიანი ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ. დამატებით დროში გატანილი ერთადერთი ბურთი გადამწყვეტი აღმოჩნდა — გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ 1:0.

ადამიანი დაუღალავი გულით...

იგი ჩეხოსლოვაკიიდანაა. 32 წლის წინათ დაიბადა კოპრჟივნიცეში—მორავიის ერთ-ერთ პატარა ქალაქში. „წინათ ჩვენი ქალაქი სახელგანთქმული იყო საავტომობილო ქარხნებით, — ამბობენ ემილის თანამემამულეები, — ახლა კი ზატოპეკითაც“.

მართლაც, ემილ ზატოპეკით — მსოფლიოში უძლიერესი მორბენლით ამაყობენ არა მარტო კოპრჟივნიცელები, არამედ მთელი სახალხო-დემოკრატიული ჩეხოსლოვაკია, მისი არმია, რომლის მაიორიცაა ზატოპეკი, ყველა ქვეყნის პროგრესული სპორტსმენები.

...ზატოპეკს არც უფიქრია, რომ ოდესმე მორბენალი გახდებოდა. როცა მას პირველად თხოვეს მონაწილეობა მიეღო ზლინში ტრადიციულ გარბენაში, იგი ცივ უარზე იდგა:

— მე არასდროს არ მირბენია!

— ამას არა აქვს ახლა მნიშვნელობა, სცადეთ! — უპასუხეს მას.

სცადა ემილმა და... მას შემდეგ იგი დარბის და დარბის ისე, რომ დაჩრდილა დიდება სარბენი ბილიკის ისეთი უბადლო ჩემპიონებისა, როგორიც იყვნენ ჟან ბუენი, პაავო ნურმი, ჰუნდარ ჰეგი...

...ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე თავმოყრილი იყო მსოფლიოს ყველა საუკეთესო სპორტსმენი — სპორტის თითქმის ყველა სახეობის წარმომადგენელი. აქ გამარჯვება არც თუ ისე ადვილი იყო, ხოლო თუ გაიმარჯვებდი — ეს იმას ნიშნავდა, რომ შენზე უძლიერესი დედამიწაზე არავინაა.

აი, სწორედ აქ მოახდინა ემილ ზატოპეკმა ფურორი. აი, აქ იყო მისი სწორუპოვარი ტრიუმფი.

10 ათას მეტრზე რბენაში მან უკან მოიტოვა შავგვრემანი ალჟირელი მიმუნი, რომელიც საფრანგეთის სპორტულ ღირსებას იცავდა, და დაამყარა ახალი ოლიმპიური რეკორდი!

სამი დღის შემდეგ 5 კილომეტრზე საფინალო რბენის სტარტზე ემილთან ერთად იდგნენ 1948 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ბელგიელი რეიფი, გერმანელი შრადე, ინგლისელი ჩატოუეი და სხვები, სულ 15 კაცი. ზატოპეკმა ყველა წინ გაუშვა — ირბინონ, გაიხარონ, ძალა დახარჯონ... ზატოპეკი თავისებური ტაქტიკით დარბის, ამიტომ საქმის მცოდნენი მასზე ამბობენ: „იგი ფეხითაც დარბის და თავითაც“.

და აი, მართლაც მოწინააღმდეგეებმა ირბინეს და იმდენად „გაიხარეს“, რომ ღონემიხდილმა რეიფმა ბილიკი დატოვა, არაქათგამოლეული ჩატოუეი ძირს დაეცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჯერ კიდევ მეტოქეობას სწევენ გერმანელი და ალჟირელი, მაგრამ ზატოპეკი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მასში გამძლეობა შეხამებულია სისწრაფესთან, ნებისყოფა — ტაქტიკასთან. იგი კვლავ უკან იტოვებს მოწინააღმდეგეებს და ოლიმპიურ რეკორდთან ერთად იმსახურებს ოქროს მეორე მედალს.

რამდენიმე დღის შემდეგ ჰელსინკში, სარბენ ბილიკზე გამწკრივდა 23 ქვეყნის წარმომადგენელი — 68 მორბენალი. იწყება მარათონული რბენა — 42 კილომეტრი და 195 მეტრი.

ეს ზემორი მანძილი სარბენად დაწესებულ იქნა 1894 წელს პარიზში ჩატარებულ საერთაშორისო ოლიმპიურ კონგრესზე. 1896 წლის ოლიმპიადაზე პირველი უცნობი მარათონელი ბერძნის თანამემამულემ სოტირიოს სპირიდონის ლუისმა ეს მანძილი 3 საათში დაჰფარა. ლუისის შედეგს ვერ აჯობეს შემდგომი ოლიმპიადის ჩემპიონებმა ვერც ფრანგმა ტეატომ და ვერც ამერიკელმა ჰიქსმა.

1908 წელს ლონდონში გამართულ მეოთხე ოლიმპიურ თამაშებში მარათონი ტრაგიკულად დამთავრდა იტალიელ დორანდოსათვის: იგი პირველი მივიდა სტადიონზე, მაგრამ საშინელი დაღლის გამო ისე იყო გაოგნებული, რომ ვერ გაიგნო გზა ფინიშისაკენ, რომელიც რამდენიმე ათეული მეტრით იყო დაშორებული მისგან. ფინიშთან იგი ერთერთმა მსაჯმა მიიყვანა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ არ ჩათვალა რბენა დამთავრებულად.

ეს ფაქტი ნათელყოფს, რაოდენ ძნელი გამოცდაა მარათონი სპორტსმენისათვის.

დავუბრუნდეთ ჰელსინკს. მარათონი დაიწყო. მორბენლებმა სტადიონზე სამი წრე გააკეთეს და გავიდნენ მარათონის ალაყაფის კარიდან. რბენა მიჰყავს ინგლისელ პეტერსს. მას მეტად აშინებს სპორტსმენი, რომლის მაისურზე წარწერილია №903. ეს ზატოპეკია. ის პირველ ხუთეულს არ უსწრებს, მაგრამ არც უკან მყოფთ აძლევს გასწრების საშუალებას. მირბის დინჯად, მოზომილი ნაბიჯებით. 20 კილომეტრის შემდეგ „903“-მა უკან მოიტოვა მეოთხე, მესამე, მეორე და ბოლოს შვედი იანსონი, რომელიც მანძილის ამ მონაკვეთზე სათავეში ედგა მარათონს.

პირველი მიდის ზატოპეკი და ახლა არათუ ვინმეს უთმობს ამ ადგილს, არამედ შეუპოვრად ცდილობს, რაც შეიძლება დიდი მანძილით დაშორდეს მის უკან მყოფთ. იგი არ შეჩერებულა არცერთ საკვებ პუნქტთან, არ დაულევია წვეთი წყალი... და როდესაც ფინიშის ხაზი გადაკვეთა, წამზომმა აჩვენა 2.23:2,3 წამი! ეს იყო ბრწყინვალე, აქამდე მიუღწეველი შედეგი. მსოფლიოში არც ერთ კაცს ასეთ დროში არ დაუფარავს მარათონული მანძილი.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ზატოპეკმა უახლოესი მეტოქე თითქმის კილომეტრით ჩამოიტოვა, ხოლო რბენის დამთავრების შემდეგ ჩაიცვა საწვრთნელი კოსტუმი და ფეხზე ამდგარმა მაყურებლის ტაშისკვრაში სტადიონის ირგვლივ საპატიო წრე გააკეთა. განცვიფრებულმა დამსწრეებმა მას სავსებით სამართლიანად დაარქვეს: „ადამიანი დაუღალავი გულით“...

ასეთივე ბრწყინვალე გამარჯვებებით დამთავრდა მისი გამოსვლები ამასწინათ ბუქარესტში ჩატარებულ სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე.

...დიდი ოქტომბრის 33-ე წლისთავის წინადღით ზატოპეკმა დაამთავრა ერთ-ერთი თავისი შორეული და არაჩვეულებრივი გარბენა: საბჭოთა საზღვარზე ს. ა. კოვპაკს გადასცა ამანათი — ეს იყო „მშვიდობისა და მეგობრობის ამანათი“, რომელიც ჩეხოსლოვაკმა ხალხმა საბჭოთა ხალხს გამოუგზავნა.

...ზატოპეკს ხშირად ეკითხებიან, თუ რაში მდგომარეობს მისი გამარჯვებების „საიდუმლოება“. იგი უპასუხებს, რომ საიდუმლოება აქ არაფერ შუაშია, იგი იმარჯვებს იმიტომ, რომ სპორტი, და განსაკუთრებით რბენა, მისთვის არის სიცოცხლისადმი სიყვარულის გამოხატულება.

და როგორც სიცოცხლის უსაზღვროდ მოყვარული, ზატოპეკი მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლია, მას და მასსავით პატიოსან ყველა სპორტსმენს სწამთ ბრძოლის მხოლოდ ერთი ველი — სტადიონი!

გ. დარბაიძე

მაღაროელთა პირველობა

დამთავრდა „მეტალურგის“ ჭიათურის საქალაქო საბჭოს პირველობა ფეხბურთში, მონაწილეობდნენ: სტალინის, ლენინის, ვოროშილოვის, კაგანოვიჩის, დიმიტროვის, ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა სამმართველოების, კაპიტალური მშენებლობისა და მთავარი მექანიკური სახელოსნოს ფეხბურთელთა გუნდები.

კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს სამმართველოს ფეხბურთელთა გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. მეორე ადგილზე გამოვიდა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს სამმართველოს გუნდი.

მ. ჩახუნაშვილი

შხელდაზე

საბჭოთა ალპინიზმის XXX წლისთავის აღსანიშნავად

გამოიდარა...

ცის ლურჯ ფონზე მკაფიოდ გამოჩნდა მედიდურად ამართული მრისხანე უშბა. სოფელ მაზერში დაბანაკებულ ახალგაზრდა მთასვლელების ჯგუფს, რომელიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისაგან შედგებოდა, შესაძლებლობა მიეცა შხელდის ტრავერსი განეხორციელებინა.

11 აგვისტოს, დილის 7 საათზე ჯგუფი ა. ქავთარაძის ხელმძღვანელობით სოფელ მაზერიდან გავიდა. საღამოს 6 საათზე შხელდის მყინვარის გავლით პირველ დასავლეთ შხელდის ძირს მიაღწია და ღამის გასათევად დაბანაკდა.

მეორე დღეს ძირითადი ჯგუფი (ა. ქავთარაძე, დ. ყანდარელი და გ. თიკანაძე) ისვენებდა. დამხმარე ჯგუფმა მ. შენგელიას ხელმძღვანელობით (შ. გამხიტაშვილი, თ. კუხიანიძე, გ. რჩეულიშვილი და შ. ესიტაშვილი) დაიპყრო მწვერვალი „პირველი დასავლეთ შხელდა".

13 აგვისტოს ძირითადმა ჯგუფმა სცადა განეგრძო ტრავერსი, მაგრამ ამინდი სწრაფად შეიცვალა. მეორე დღეს იერიში განაგრძეს. უკანასკნელი „ჟანდარმის" გადალახვის დროს ამინდი უფრო გაუარესდა. მთასვლელები იძულებულნი გახდნენ უნაგირაზე დაშვებულიყვნენ და კარავი გაეშალათ. მამაცმა სპორტსმენებმა 5 დღე გაატარეს კარავში.

ძირითადმა ჯგუფმა დამხმარე ჯგუფთან ერთად მაინც მოახერხა 23 აგვისტოს „მესამე დასავლეთ შხელდის", 25 აგვისტოს კი უშბას პლატოს გავლით მწვერვალების — „შუროვსკისა" და „ჩატინის" აღება. შემდგომი წინსვლა შეუძლებელი იყო, ამიტომ ჯგუფი სოფელ მაზერში დაბრუნდა.

28 აგვისტოს ულრუბლო დილა გათენდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. ჯგუფი გ. თიკანაძის, ა. ქავთარაძისა და წინა დღით ამოსული მთასვლელების — ჯ. მეძმარიაშვილისა და ს. ცაიშვილის შემადგენლობით შხელდისაკენ გაემართა.. ახალი გეგმით ჯგუფს ტრავერსი „აღმოსავლეთ შხელდის" მწვერვალის დაპყრობით უნდა დაეწყო, „ცენტრალური შხელდა" გადაელახა და „მესამე დასავლეთ შხელდის" აღებით დაემთავრებინა.

„აღმოსავლეთ შხელდაზე" ასვლა დაიწყო დათოვლილი კულუარით. წინ 150 მეტრი სიმაღლის პირქუში შხელდის კედელი იყო აღმართული. მთასვლელები შეუპოვრად შეეჭიდნენ გრანიტის კლდეებს. დღე იწურებოდა... ნახევარი საათის შემდეგ ისინი თავზე მოექცნენ კედელს. მალე მთასვლელები ერთმანეთს ულოცავდნენ ტრავერსის პირველი მწვერვალის აღებას

მთასვლელები მწვერვალის ძირში ჩავიდნენ. სამხრეთიდან ორი „ჟანდარმი" გადასერეს და „ცენტრალურ შხელდას" მიადგნენ. მწვერვალის კოშკი დაუძლეველი ჩანდა. გართულდა პალოების კლდეში ჩასობა. ჯგუფმა ციცაბო კედლის მონაკვეთი გადალახა და მწვერვალის წინა თაროზე გავიდა... ტრავერსის ურთულესი ნაწილი დაძლეული იყო. რამდენიმე საათის შემდეგ „მესამე დასავლეთ შხელდა" პირქუშად ეგებებოდა მოიერიშეებს. მწვერვალის კალთებიდან მათ სვანების მეგობრული და გამამხნევებელი ძახილი მოესმათ — სიყვარულით ულოცავდნენ ტრავერსის უკანასკნელ მწვერვალზე ასვლას.

ჯგუფი ის იყო დაეშვა ძირს, რომ კვლავ წამოიშალა ღრუბლები, მაგრამ გამარჯვებულებს აღარ აშინებდათ არც ჭექა-ქუხილი და არც ქარიშხალი, არც შლადი კედლის ნაფლეთები და არც „ცენტრალური შხელდის" მრისხანე კედლებიდან გადმოხეთქილი ნიაღვარი..

2 სექტემბერს დამხმარე ჯგუფის წევრები მამაც მთასვლელებს ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდნენ.

შ. ესიტაშვილი,
ა. ქავთარაძე.

ნორჩები სალაშქროდ

ამასწინათ დუშეთის რაიონის სოფელ არანისის საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა 16 მოსწავლის მონაწილეობით მოაწყო ტურისტული ლაშქრობა. მოლაშქრეები სოფელ თვალივის გავლით მივიდნენ მაღაროსკარში, დაიპყრეს კუჭაჭის მთა, დაეშვნენ სოფელ ბოდავისაკენ, გაიარეს სოფლები ვარცლა, დოლოშო და საკანაფის ხევით მივიდნენ სოფელ ქინვალში.

სასწავლო წლის დასასრულამდე სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს გათვალისწინებული აქვს მოაწყოს მეორე ლაშქრობა. მარშრუტით სოფელი არანისი-ყინვალი-თიანეთი-ჩარგალი-გუდრუხი-ყინვალი-არანისი.

აღნიშნული მარშრუტი შეადგენს 50 კმ, რითაც გუნდი შეასრულებს სსრკ ტურისტის I საფეხურის ნორმატივს.

ტ. კობაიძე.

გაიმარჯვეს მოსწავლეებმა

ჩატარდა წყალტუბოს რაიონის 1953 წლის პირველობის გათამაშება ფრენბურთში. მონაწილეობდნენ ქართული და რუსული საშუალო სკოლების, საკავშირო პროფსაბჭოს № 1 სანატორიუმის, ფარცხანაყანევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის, კურორტსამმართველოსა და რაიონის მტს-ის ფიზკულტურული კოლექტივები.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა წყალტუბოს ქართული საშუალო სკოლის გუნდმა.

შ. გენძეხაძე

დინამოელი **ანტონინა გააგე,** რომელმაც სსრ კავშირის პირველობაზე სროლაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი.

ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირი

პირველი წრის შემდეგ

შვეიცარიაში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონ მ. ბოტვინიკთან მატჩის პრეტენდენტ 15 საერთაშორისო გროსმაისტერის შეჯიბრება. ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო საჭადრაკო ღონისძიებაა, რაც კი ოდესმე ჩატარებულა და გამოირჩევა იმით, რომ მასში მონაწილეობს მსოფლიოს ყველა დიდი მოჭადრაკე.

პრეტენდენტების ტურნირს წინ უსწრებდა საერთაშორისო შესარჩევი შეჯიბრება სტოკჰოლმში, რომელიც საბჭოთა მოჭადრაკეების ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

შეჯიბრება ხასიათდება სპორტულად მეტად დაძაბული ბრძოლით, როგორც ეს ასეთი დიდი მასშტაბის ტურნირს ჩვევია. პირველ ტურებში კოტოვი და გელერი მეტად აზარტულად უტევდნენ მსოფლიო ექსჩემპიონ ეივეს და ორივემ მარცხი განიცადა. აღმოჩნდა, რომ ეივე შესანიშნავ ფორმაში იმყოფება. იგი დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებოდა ტურნირისათვის. აღსანიშნავია, რომ 1946 წლიდან, როდესაც მან დიდი წარმატებით ჩაატარა გრონინგენის ტურნირი (II ადგილი ბოტვინიკის შემდეგ), მას ასე კარგად არსად უთამაშნია. მხოლოდ ვირტუოზულად მოთამაშე სმისლოვმა შეძლო პირველ ტურებში ეივეს დამარცხება. ამ პარტიაში სმისლოვმა ერთხელ კიდევ დაიცვა თავისი ვარიანტი გრიუნფელდის დაცვაში მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული თეორეტიკოსის ხელყოფისაგან.

შეჯიბრების დასაწყისში მოულოდნელი იყო ა. კოტოვის სამი დამარცხება. მაგრამ კოტოვმა, რომელიც იშვიათი სიმშვიდითა და გამძლეობით გამოირჩევა, შეძლო მდგომარეობის გამოსწორება. იუგოსლაველი გროსმაისტერი გლიგორიჩი ვერაფერს გახდა მასთან და დანებდა. ამას მოჰყვა ტაიმანოვისა და საბოს ეფექტური „განადგურება". კოტოვის საუკეთესო პარტია ამ ტურნირში მაინც ავერბახთან გათამაშებული პარტიაა. როგორც შეჯიბრების მონაწილენი და დამსწრე გროსმაისტერები აღნიშნავდნენ, ეს პარტია საუკეთესოა უკანასკნელ წლებში გათამაშებულ პარტიებს შორის. კოტოვმა ამ პარტიაში პაიკში (!) ლაზიერი შესწირა, მოწინააღმდეგის მეფე დაფის ცენტრში გამოიყვანა და მრავალი მუქარა შეუქმნა. პარტია ასეთ მდგომარეობაში იქნა გადადებული. ბევრს ეგონა, რომ ავერბახი, რომელსაც დიდი მატერიალური უპირატესობა ჰქონდა (ზედმეტი ლაზიერი) შეძლებდა თავის დაცვას, მაგრამ კოტოვმა ბოლომდე თანმიმდევრულად ითამაშა და გაიმარჯვა.

შეჯიბრების პირველ ნახევარში სმისლოვმა 9,5 ქულა მოაგროვა, მან დიდებულად ითამაშა კერესთან, რამაც გადაწყვიტა ლიდერობის საკითხი. შტალბერგი, გლიგორიჩი, ეივე და გელერი სმისლოვმა დაამარცხა შესანიშნავი სტილით, რომელშიც ჰარმონიულადაა შეხამებული აქტიური დაცვა და გამანადგურებელი შეტევა.

მეორე ადგილზეა რეშევსკი, რომელმაც ამ ტურნირში ჯერჯერობით კარგ შედეგს მიაღწია.

არგენტინელი გროსმაისტერი ნაიდორფი შესამჩნევად გაიზარდა ბოლო წლებში. ბრონშტეინი, რომელიც თითქმის ტურნირის პირველი ნახევრის მანძილზე ერთობ ფრთხილად თამაშობდა, თანდათან შედის ფორმაში. კარგ შედეგს მიაღწია ტიგრან პეტროსიანმა, რომელმაც დაამარცხა ცნობილი მოჭადრაკეები საბო, ეივე და შტალბერგი.

ტურნირის მთელი პირველი ნახევარი ძალზე პასიურად ჩაატარეს კერესმა და ბოლესლავსკიმ.

გ. გამრეკელი.

* * *

დაიწყო მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საჭადრაკო ტურნირის მეორე წრე. მე-16 ტურში მცირე ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა სმისლოვ-ავერბახის, ბრონშტეინ-ტაიმანოვის, კოტოვ-ეივესა და რეშევსკი-ნაიდორფის პარტიები. სამი პარტია დაუმთავრებელი დარჩა.

გადადებული პარტიების გათამაშების დღეს თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ: ნაიდორფი—კერესთან, ბოლესლავსკი — შტალბერგთან და ეივესთან. პეტროსიან-სმისლოვის პარტია 49-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გელერ-საბოს პარტია. ბრონშტეინმა ზუსტად ჩაატარა პარტიის ბოლო და დაამარცხა იუგოსლაველი გროსმაისტერი გლიგორიჩი. კერესმა მოუგო პეტროსიანს.

რეშევსკი-ტაიმანოვის გამოტოვებული პარტია, რომელიც ამავე დღეს გათამაშდა, დაუმთავრებელი დარჩა.

მეჩვიდმეტე ტურში ყაიმით დამთავრდა ავერბახ-კერესის, პეტროსიან-რეშევსკის, საბო-სმისლოვისა და ნაიდორფ-ბრონშტეინის პარტიები. კოტოვმა მოსაგებ მდგომარეობაში გადადო პარტია შტალბერგთან.

დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების დღეს ინტერესი გამოიწვია რეშევსკი-ბრონშტეინის პარტიამ. რეშევსკი თავგამოდებით იცავდა თავს, მაგრამ 66-ე სვლაზე იძულებული იყო წინააღმდეგობა შეეწყვიტა. ეს რეშევსკის პირველი დამარცხებაა.

გელერმა მოუგო ეივეს, კოტოვმა — შტალბერგს. ტაიმანოვი დამარცხდა გლიგორიჩთან.

17 ტურის შემდეგ კვლავ წინაა სმისლოვი, რომელსაც 10,5 ქულა აქვს. შემდეგ ადგილებზე არიან: ბრონშტეინი და რეშევსკი — 9,5 ქულა, ნაიდორფი — 9 ქულა, კერესი — 8,5. ბოლესლავსკი, პეტროსიანი, კოტოვი. და ეივე — 8. გელერი და ტაიმანოვი 7,5 ქულა.

საქართველოს პირველობა ფეხბურთში

მეორე წრის პირველი შეხვედრები

27 სექტემბერს საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დაიწყო ჩვენი რესპუბლიკის პირველობის მეორე წრის კალენდარული მატჩები ფეხბურთში. ამ დღეს „ა" ქვეჯგუფის გუნდებიდან ბორჯომის ნაკრებმა მიიღო გორის დინამოელები. თამაში სტუმრების ტერიტორიული უპირატესობით ჩატარდა. პირველი ბურთი გატანილ იქნა მასპინძელთა კარში. თამაშის მეორე ნახევარში მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრა დამთავრდა გორის „დინამოს" გამარჯვებით — 2:1.

წითელწყაროს „ნეფტიანიკი" ამ დღეს შეხვდა თელავის „დინამოს". თამაშის პირველ ნახევარში წითელწყაროელმა ფეხბურთელებმა სტუმრების კარში ორი ბურთი გაიტანეს, თავისაში კი მხოლოდ ერთი მიიღეს. მეორე ნახევარში თელაველებმა გააძლიერეს შეტევა და ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდს სკიფთან („მედიკი" თბილისი) გამოუცხადებლობის გამო წაგება ჩაეთვალა.

„ბ" ქვეჯგუფის გუნდებიდან ხაშურის ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია ქუთაისის „დინამოს" და წააგო — 1:5.

სტალინირის „სპარტაკმა" მიიღო სუხუმის დინამოელები. შეხვედრა ჩატარდა სტუმრების უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით — 4:1.

გათამაშების კალენდარი

„ა" ქვეჯგუფი

ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთის მოედნებზე ოქტომბერში ჩატარდება საქართველოს სსრ პირველობის მეორე წრის შემდეგი მატჩები:

4 ოქტომბერი. „დინამო" (გორი) — ტტს (თბილისი), ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი) — ბორჯომი (ნაკრები), „დინამო" (თელავი) — სკიფ („მედიკი" თბილისი), 26 კომისრის სახელობის რაიონი (თბილისი)—„ნეფტიანიკი" (წითელწყარო). **11 ოქტომბერი.** 26 კომისრის რაიონი (თბილისი) — „დინამო" (გორი), ტტს (თბილისი) — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი), ბორჯომი (ნაკრები) — „დინამო" (თელავი), „ნეფტიანიკი" (წითელწყარო) — სკიფ („მედიკი" თბილისი). **18 ოქტომბერი.** ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი) — 26 კომისრის რაიონი (თბილისი), „დინამო" (თელავი) — ტტს (თბილისი) სკიფ „მედიკი" (თბილისი) — ბორჯომი (ნაკრები), „დინამო" (გორი) — „ნეფტიანიკი" (წითელწყარო). **25 ოქტომბერი.** „დინამო" (გორი) — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი), 26 კომისრის სახელობის რაიონი (თბილისი) — „დინამო" (თელავი), ტტს (თბილისი) — სკიფ („მედიკი" თბილისი), „ნეფტიანიკი" (წითელწყარო) — ბორჯომი (ნაკრები).

„ბ" ქვეჯგუფი

4. ოქტომბერი. „კოლმეურნე" (მახარაძე) — „ლოკომოტივი" (ხაშური). „დინამო" (სუხუმი) — „დინამო" (ზუგდიდი), „დინამო" (ბათუმი) — „სპარტაკი" (სტალინირი). **11 ოქტომბერი.** „დინამო" (ქუთაისი) — „კოლმეურნე" (მახარაძე), „ლოკომოტივი" (ხაშური) — „დინამო" (სუხუმი), „დინამო" (ზუგდიდი) — „დინამო" (ბათუმი). **18 ოქტომბერი.** „დინამო" (სუხუმი) — „დინამო" (ქუთაისი), „დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (ხაშური), „სპარტაკი" (სტალინირი) — „დინამო" (ზუგდიდი). **25 ოქტომბერი.** „კოლმეურნე" (მახარაძე) — „დინამო" (სუხუმი), „დინამო" (ქუთაისი) — „დინამო" (ბათუმი), „ლოკომოტივი" (ხაშური) — „სპარტაკი" (სტალინირი).

საერთაშორისო შეხვედრები

„ზენიტი" (ლენინგრადი) — რუმინეთი (ნაკრები)

28 სექტემბერს ლენინგრადის კიროვის სახელობის სტადიონზე რუმინელმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს მესამე ამხანაგური შეხვედრა საბჭოთა კავშირის ფეხბურთელებთან. ამჯერად ისინი თამაშობდნენ ლენინგრადის „ზენიტის" წინააღმდეგ.

თამაშის დასაწყისშივე ბურთი გაიტანა ლენინგრადელმა მარიუტინმა. 22-ე წუთზე ენემ ანგარიში გაათანაბრა (1:1). შეხვედრის მეორე ნახევარში ზენიტელი ვოინოვის ძლიერი დარტყმის შემდეგ გვერდითი ძელიდან ბურთი რუმინელთა კარის ბადეში ეხვევა. რუმინელები აძლიერებენ იერიშებს და შეხვედრის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე მეკარე ივანოვს მეორე ბურთი გამოაქვს ბადიდან. ენემ ბურთი ამჯერად თავით გაიტანა. შეხვედრის ანგარიშია 2:2.

„სპარტაკი" (მოსკოვი) — რუმინეთი (ნაკრები)

მოსკოვის „სპარტაკისა და რუმინეთის ნაკრები გუნდების საერთაშორისო შეხვედრამ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. მოედანზე თავიდანვე დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა. 90-წუთიანი ასპარეზობა დამთავრდა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდის გამარჯვებით — 2 : 1.

ამრიგად, რუმინეთის ნაკრებმა გუნდმა საბჭოთა კავშირში ჩაატარა ოთხი ამხანაგური შეხვედრა. მოიგო ორი, ფრედ დაამთავრა ერთი და წააგო (1:3) მოსკოვის „დინამოსთან".

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამომშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი" თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02112